.GE დომენურ სახელებთან დაკავშირებული დავების მოგვარების წესები („წესები“)

დამტკიცებულია შპს „კავკასუს ონლაინის“ („**ადმინისტრატორი**“) მიერ 2018 წლის 16 აპრილს.

ადმინისტრატორის მიერ დამტკიცებული .GE დომენურ სახელებთან დაკავშირებული დავების მოგვარების პოლიტიკის („**დავების მოგვარების პოლიტიკა**”) შესაბამისად დავების მოსაგვარებლად ადმინისტრაციულ წარმოებაზე ვრცელდება წინამდებარე **წესები** და ასევე ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (World Intellectual Property Organization -WIPO) .GE დომენურ სახელებთან დაკავშირებული დავების მოგვარების პოლიტიკის დამატებითი წესები („**დამატებითი წესები**“), როგორც გამოქვეყნებულია ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) არბიტრაჟისა და მედიაციის ცენტრის მიერ („**WIPO-ს ცენტრი**“) ვებ-გვერდზე. **დამატებით წესებსა** და წინამდებარე **წესებს** შორის წინააღმდეგობის არსებობის შემთხვევაში, წინამდებარე **წესებს** ენიჭება უპირატესი ძალა ასეთი წინააღმდეგობის ნაწილში.

1. **ტერმინთა განმარტებები**

   წინამდებარე **წესებში**:

   მოსარჩელე ნიშნავს მხარეს, რომელსაც დომენური სახელის რეგისტრაციასთან დაკავშირებით შეაქვს საჩივარი.

   ადმინისტრატორი ნიშნავს შპს „კავკასუს ონლაინს“.

   დაბლოკვა ნიშნავს **ადმინისტრატორის** მიერ დომენური სახელთან დაკავშირებით განხორციელებულ ქმედებას, რომლის მეშვეობითაც მინიმუმამდე იზღუდება მოპასუხის მიერ დომენურ სახელთან მიმართებით ცვლილების განხორციელება, თუმცა არ იზღუდება დომენური სახელის ფუნქციონირება ან განახლება.

   საერთო იურისდიქცია ნიშნავს საქართველოს სასამართლოების იურისდიქციას.

   პანელი ნიშნავს ადმინისტრაციულ პანელს, რომელიც არჩეულია **WIPO-ს ცენტრის** მიერ დომენური სახელის რეგისტრაციასთან დაკავშირებით დავის გადასაწყვეტად.

   არბიტრი ნიშნავს პირს, რომელიც არჩეულია **WIPO-ს ცენტრის** მიერ როგორც **პანელის** წევრი.

   მხარე ნიშნავს მოსარჩელეს ან მოპასუხეს

დავის მიმდინარეობის პერიოდი ნიშნავს დროის პერიოდს იმ მომენტიდან როდესაც მოსარჩელემ შეიტანა საჩივარი **დავების მოგვარების პოლიტიკის** შესაბამისად **WIPO-ს ცენტრში** იმ დრომდე, სანამ **დავების მოგვარების პოლიტიკის** შესაბამისად აღსრულდება გადაწყვეტილება ან შეწყდება წარმოება.

დავების მოგვარების პოლიტიკა ნიშნავს .GE დომენურ სახელებთან დაკავშირებული დავების მოგვარების პოლიტიკას, რომელიც წარმოადგენს **სარეგისტრაციო ხელშეკრულების** განუყოფელ ნაწილს.

WIPO-ს ცენტრი ნიშნავს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) არბიტრაჟისა და მედიაციის ცენტრს (WIPO-ს ცენტრი), რომელიც არის **ადმინისტრატორის** მიერ დამტკიცებული დავის მოგვარების მომსახურების გამწევი.

რეგისტრატორი ნიშნავს იურიდიულ პირს, რომელთანაც მოპასუხეს დარეგისტრირებული აქვს .GE დომენური სახელი, რომელიც ექვემდებარება საჩივრის შეტანას **დავების მოგვარების პოლიტიკის** შესაბამისად.

სარეგისტრაციო ხელშეკრულება ნიშნავს **რეგისტრატორსა** და დომენური სახელის მფლობელს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას.

მოპასუხე ნიშნავს დომენური სახელის რეგისტრაციის მფლობელს, რომლის წინააღმდეგაც შეტანილია საჩივარი.

საჩივრის წარდგენის უფლების ბოროტად გამოყენება ნიშნავს **დავების მოგვარების პოლიტიკის** არაკეთილსინდისიერად გამოყენებას დომენური სახელის მფლობელისთვის დომენური სახელის ჩამორთმევის მცდელობის მიზნისთვის.

დამატებითი წესები ნიშნავს **WIPO-ს ცენტრის** მიერ აღნიშნული **წესების** დამატებით მიღებულ წესებს. **დამატებითი წესები** არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს **დავების მოგვარების პოლიტიკას** ან ამ **წესებს** და უნდა ეხებოდეს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა ანაზღაურება, გვერდების და სიტყვების რაოდენობის შეზღუდვები და სახელმძღვანელო წესები, ფაილის მოცულობა, ფორმატირების მოდალობები, **WIPO-ს ცენტრთან** და **პანელთან** კომუნიკაციის საშუალებები და თავფურცლის ფორმა.

წერილობით შეტყობინება ნიშნავს **WIPO-ს ცენტრის** მხრიდან რესპოდენტის მიმართ ბეჭდური ფორმით გაგზავნილ შეტყობინებას **დავების მოგვარების პოლიტიკის** შესაბამისად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ, რომელიც ატყობინებს მოპასუხეს მის წინააღმდეგ საჩივრის შეტანის შესახებ და რომელიც ასევე უნდა შეიცავდეს მითითებას, რომ **WIPO-ს ცენტრმა** საჩივარი და თანდართული მასალები გაუგზავნა მოპასუხეს ელექტრონული ფორმით იმ

საშუალებით, როგორც ეს მითითებულია შეტყობინებაში. წერილობითი შეტყობინება არ შეიცავს თავად სარჩელის ან თანდართული მასალების ბეჭდურ ვერსიას.

2. **კომუნიკაცია**

(a) **მოპასუხისთვის** სარჩელის და თანდართული მასალების ელექტრონული ფორმით გადაგზავნის დროს **WIPO-ს ცენტრის** ვალდებულებას წარმოადგენს, რომ გამოიყენოს შეტყობინების გაგზავნის ისეთი გონივრული ხელმისაწვდომი საშუალება, რომლითაც მიიღწევა **მოპასუხისთვის** შეტყობინების ფაქტობრივი ჩაბარება. ასეთი ვალდებულების შესრულებას წარმოადგენს შეტყობინების ფაქტობრივი ჩაბარება ან საამისოდ შემდეგი ზომების მიღება:

(i) საჩივრის შესახებ **წერილობითი შეტყობინების** გაგზავნა ყველა საფოსტო და ფაქსის მისამართზე (A) რომელიც დომენური სახელის რეგისტრირებულ მონაცემებში არის მითითებული **ადმინისტრატორის** (ან რეგისტრატორის) WHOIS მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული დომენური სახელის მფლობელის შესახებ და (B) რომელიც **ადმინისტრატორმა WIPO-ს ცენტრს** გადასცა რეგისტრირებული დომენური სახელის მფლობელის შესახებ; და

(ii) საჩივრის და თანდართული მასალების ელექტრონული ფორმით გაგზავნა შემდეგ ელექტრონული ფოსტის მისამართზე:

(A) დომენური სახელის მფლობელის ელექტრონული ფოსტის მისამართზე;

(B) postmaster@<სადავო დომენური სახელი>; და

(C) იმ შემთხვევაში თუ დომენური სახელი (ან „www." და შემდგომ დომენური სახელი) წარმოადგენს მოქმედ ვებ-გვერდს (გარდა იმ შემთხვევისა, თუ **WIPO-ს ცენტრი** მიიჩნევს, რომ არის ზოგადი ვებ-გვერდი, რომლის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს **ადმინისტრატორი**, **რეგისტრატორი** ან ინტერნეტ მომსახურების მიმწოდებელი დომენური სახელის რამდენიმე მფლობელის მიერ დარეგისტრირებული დომენური სახელების პარკირებისთვის) ამ ვებ-გვერდზე მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართებზე ან ელექტრონულ ლინკებზე, რომელიც განთავსებულია ამ ვებ-გვერდზე; და

(iii) საჩივრის და თანდართული მასალების **მოპასუხის** ნებისმიერ ისეთ ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაგზავნა, რომელსაც **მოპასუხე** მიაწვდის **WIPO-ს ცენტრს** და რამდენადაც ეს შესაძლებელია ყველა

ელექტრონული ფოსტის მისამართზე რომელსაც **მოსარჩელე** მიაწვდის **WIPO-ს ცენტრს** 3(b)(v) პარაგრაფის შესაბამისად.

(b) გარდა 2(a) პარაგრაფში მითითებულის, ნებისმიერი წერილობითი კომუნიკაცია **მოსარჩელესთან** ან **მოპასუხესთან** წინამდებარე **წესების** შესაბამისად უნდა განხორციელდეს ელექტრონული ფორმით ინტერნეტის მეშვეობით (რომლის გაგზავნის დამადასტურებელი ჩანაწერი ხელმისაწვდომი იქნება) ან სხვა იმ მოთხოვნილი გონივრული საშუალებით რომელსაც მიუთითებს **მოსარჩელე** ან **მოპასუხე** შესაბამისადვე (იხილეთ პარაგრაფები 3 (b) (iii) და 5 (b)(iii)).

(c) ნებისმიერი კომუნიკაცია **WIPO-ს ცენტრთან** ან **პანელთან** უნდა განხორციელდეს იმ ფორმითა და წესით (მათ შორის, სადაც ეს საჭიროა ასლების რაოდენობის მხრივ), როგორც ეს აღწერილია **დამატებით წესებში**.

(d) კომუნიკაცია უნდა განხორციელდეს ინგლისურ ენაზე.

(e) ნებისმიერი **მხარე** უფლებამოსილია განაახლოს საკონტაქტო ინფორმაცია **WIPO-ს ცენტრისთვის** და **ადმინისტრატორისთვის** (და საჭიროების შემთხვევაში **რეგისტრატორისთვის**) შეტყობინების გზით.

(f) თუ ამ **წესებში** სხვაგვარად არ არის მითითებული ან თუ სხვაგვარად არ გადაწყვეტს **პანელი** ყველა კომუნიკაცია, რომელიც განხორციელდება ამ **წესების** შესაბამისად უნდა ჩაითვალოს განხორციელებულად შემდეგ თარიღზე:

(i) იმ შემთხვევაში, თუ ხორციელდება ინტერნეტის საშუალებით, იმ თარიღზე როდესაც გაიგზავნა კომუნიკაცია, იმ პირობით რომ კომუნიკაციის გაგზავნის თარიღი იდენტიფიცირებადია; ან სადაც ეს საჭიროა

(ii) თუ გაგზავნილია ფაქსის მეშვეობით, იმ თარიღზე, რომელიც აღნიშნულია გაგზავნის დამადასტურებელ დოკუმენტში; ან:

(iii) თუ გაგზავნილია საფოსტო ან კურიერული მომსახურების მეშვეობით მიღების დასტურზე აღნიშნულ თარიღზე.

(g) თუ **წესებში** სხვაგვარად არ არის მითითებული, **წესების** შესაბამისად ყველა დროის პერიოდის გამოთვლისას, რომელიც უნდა აითვალოს კომუნიკაციის განხორციელების მომენტიდან აითვლება იმ უახლოესი თარიღით, როცა კომუნიკაცია 2(f) პარაგრაფის მიხედვით განხორციელებულად ითვლება.

(h) ნებისმიერი კომუნიკაცია, რომელიც განხორციელებულია:

(i) **პანელის** მიერ ნებისმიერი **მხარის** მისამართით უნდა გაეგზავნოს ასევე **WIPO-ს ცენტრს** და მეორე **მხარეს**;

(ii) **WIPO-ს ცენტრის** მიერ ნებისმიერი **მხარის** მისამართით უნდა გაეგზავნოს ასევე მეორე **მხარეს**; და

(iii) **მხარე** იყოს ჩასმული მეორე **მხარესთან**, **პანელთან** და **WIPO-ს ცენტრთან** კომუნიკაციაში, როგორც ამას მოითხოვს საქმე.

(i) გამგზავნი მხარე პასუხისმგებელია შეინახოს გაგზავნის გარემოების და ფაქტის შესახებ ჩანაწერები, რომელიც უნდა იყოს ხელმისაწვდომი დაინტერესებული მხარეების მიერ შემოწმებისთვის და ანგარიშის წარდგენის მიზნებისთვის. აღნიშული ასევე მოიცავს WIPO-ს ცენტრის მიერ წერილობითი შეტყობინების გაგზავნის შემთხვევას მოპასუხესთან ფოსტის ან ფაქსის მეშვეობით 2(a)(i) პარაგრაფის შესაბამისად.

(j) იმ შემთხვევაში, თუ მხარე, რომელიც აგზავნის კომუნიკაციას მიიღებს შეტყობინებას კომუნიკაციის გაუგზავნელობის შესახებ, მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს **პანელს** (ან, იმ შემთხვევაში, თუ **პანელი** ჯერ არ არის არჩეული **WIPO-ს ცენტრს**) შეტყობინების გარემოებების შესახებ. კომუნიკაციასთან დაკავშირებული შემდგომი პროცესები და ნებისმიერი პასუხი უნდა განხორციელდეს **პანელის** (ან **WIPO-ს ცენტრის**) მითითების შესაბამისად.

3. საჩივარი

(a) ნებისმიერ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს შეუძლია დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება **WIPO-ს ცენტრში დავების მოგვარების პოლიტიკის** და ამ **წესების** შესაბამისად საჩივრის წარდგენით. (**WIPO-ს ცენტრის** მიერ საჩივრების მიღება შესაძლოა შეჩერდეს გადატვირთულობის ან სხვა გარემოების გამო. ასეთ შემთხვევაში, **WIPO-ს ცენტრი** უფლებამოსილია უარი თქვას მიღებაზე)

(b) საჩივარი და ყველა თანდართული დოკუმენტი უნდა იქნას წარდგენილი ელექტრონული ფორმით და:

(i) უნდა შეიცავდეს მოთხოვნას, რომ საჩივარი წარდგენილ იქნას გადაწყვეტილების მისაღებად **დავების მოგვარების პოლიტიკის** და ამ **წესების** შესაბამისად.

(ii) უნდა შეიცავდეს **მოსარჩელის** და **მოსარჩელის** სახელით ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის მიღების უფლებამოსილების მქონე პირის სახელს, საფოსტო და ელექტრონული ფოსტის მისამართს, ტელეფონის და ფაქსის ნომერს;

(iii) უნდა იყოს მითითებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში **მოსარჩელისთვის** კომუნიკაციის გაგზავნის სასურველი მეთოდი (მათ შორის, საკონტაქტო პირის, შუამავლის და მისამართის შესახებ ინფორმაცია) თითოეული შემდეგი შემთხვევისთვის (A) მხოლოდ ელექტრონული მასალისთვის და (B) მასალისთვის, მათ შორის, ბეჭდური სახის მასალისთვის (ასეთი საჭიროების შემთხვევაში);

(iv) უნდა იყოს განსაზღვრული, **მოსარჩელის** სურს დავა განიხილოს ერთი წევრისგან შემდგარმა პანელმა, თუ სამი წევრისგან შემდგარმა პანელმა, ამ უკანასკნელის არჩევის შემთხვევაში **მოსარჩელემ** უნდა

მიუთითოს ისეთი სამი კანდიდატის სახელი და საკონტაქტო ინფორმაცია, რომლიდანაც ერთ-ერთი იქნება არბიტრი (ასეთი კანდიდატები შეიძლება არჩეულ იქნას WIPO-**ს ცენტრის** არბიტრების სიიდან);

(v) უნდა იყოს მითითებული **მოპასუხის** (დომენური სახელის მფლობელის) სახელი და **მოპასუხესთან**, ან **მოპასუხის** ნებისმიერ წარმომადგენელთან დასაკავშირებლად საჭირო ყველა ინფორმაცია (მათ შორის, საფოსტო და ელექტრონული ფოსტის მისამართი, ტელეფონის და ფაქსის ნომერი), რომელიც ცნობილია **მოსარჩელისთვის,** მათ შორის, საჩივრის შეტანამდე კომუნიკაციაზე დაყრდნობით არსებული საკონტაქტო ინფორმაცია, რომელიც საშუალებას მისცემს WIPO-**ს ცენტრს,** რომ გაუგზავნოს საჩივარი **მოპასუხეს**, როგორც ეს აღწერილია 2(a) პარაგრაფში;

(vi) უნდა იყოს მოცემული ის დომენური სახელი (სახელები), რომელიც არის საჩივრის საგანი;

(vii) უნდა იყოს მითითებული ის **რეგისტრატორი**, რომელთანაც საჩივრის შეტანის დროისთვის რეგისტრირებულია დომენური სახელი (სახელები);

(viii) უნდა იყოს მოცემული სასაქონლო ნიშანი (ნიშნები) ან მომსახურების ნიშანი (ნიშნები), რომელზეც დაფუძნებულია საჩივარი, თითოეული ნიშნისთვის წარმოდგენილი უნდა იყოს იმ საქონლის ან მომსახურების, ასეთის არსებობის შემთხვევაში, აღწერილობა რომელთან დაკავშირებითაც გამოიყენება ნიშანი (**მოსარჩელეს** შეუძლია ასევე ცალკე მიუთითოს და აღწეროს სხვა საქონელი ან მომსახურება, რომელთან დაკავშირებითაც საჩივრის წარდგენის მომენტისთვის აქვს განზრახვა, რომ სამომავლოდ გამოიყენოს ნიშანი)

(ix) **დავების მოგვარების პოლიტიკის** შესაბამისად აღწერილი უნდა იყოს საჩივრის საფუძვლები, მათ შორის:

(1) გარემოებები, რომლებიც მიუთითებს რომ დომენური სახელი(სახელები) არის იდენტური ან მსგავსი იმ სასაქონლო ნიშნისა ან მომსახურების ნიშნისა, რომელზეც მოსარჩელეს აქვს უფლებები; და

(2) რატომ უნდა ჩაითვალოს, რომ მოპასუხეს (დომენური სახელი მფლობელი) არ აქვს უფლებები ან კანონიერი ინტერესი იმ დომენურ სახელზე (სახელებზე), რომელიც წარმოადგენს დავის საგანს; და

(3) რატომ უნდა ჩაითვალოს, რომ დომენური სახელი (სახელები) რეგისტრირებული ან გამოიყენება არაკეთილსინდისიერად.

(მე-2 და მე-3 ელემენტების შემთხვევაში აღწერილობა უნდა ეხებოდეს **დავების მოგვარების პოლიტიკის** 4(b) 4(c) პარაგრაფების ნებისმიერ ასპექტს. აღწერილობა უნდა შეესაბამებოდეს სიტყვების, გვერდების რაოდენობის ლიმიტს, როგორც ეს მოცემულია **დამატებით წესებში**);

(x) **დავების მოგვარების პოლიტიკის** შესაბამისად უნდა იყოს მითითებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნილი საშუალება;

(xi) უნდა იყოს მითითებული სადავო დომენურ სახელზე (სახელებზე) ან ასეთ სახელთან (სახელებთან) დაკავშირებით მიმდინარეობს ან შეწყვეტილია თუ არა სხვა წარმოება;

(xii) უნდა იყოს მითითებული, რომ **მოსარჩელე** ადმინისტრაციული პროცესის შედეგად მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილების იქნება ეს დომენური სახელის გაუქმება თუ გადაცემა გაასაჩივრებს საქართველოს სასამართლოში.

(xiii) საჩივარი უნდა დასრულდეს შემდეგი წინადადებით და **მოსარჩელის** ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით (ელექტრონული ფორმით):

„**მოსარჩელე** თანხმობას აცხადებს, რომ დომენური სახელის რეგისტრაციასთან, დავასთან ან გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით მისი პრეტენზია და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მიმართული იქნება მხოლოდ დომენური სახელის მფლობელის წინააღმდეგ და უარს აცხადებს ნებისმიერ ასეთ პრეტენზიაზე ან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე (a) **WIPO-ს ცენტრის** და არბიტრების მიმართ, გარდა განზრახ არამართლზომიერი ქმედების შემთხვევისა (b) რეგისტრატორის მიმართ და (c) შპს „კავკასუს ონლაინის“, ასევე მისი დირექტორის, დასაქმებულის, აგენტის, ოფიცრის მიმართ.“;

„**მოსარჩელე** ადასტურებს, რომ საჩივარში მოცემული ინფორმაცია, რამდენადაც **მოსარჩელისთვის** ცნობილია, არის სრული და სწორი, საჩივარი არ არის წარდგენილი არასათანადო მიზეზით, როგორიცაა უფლების შელახვა, და ამ საჩივარში მოცემული მტკიცებები შეესაბამება ამ **წესებს** და არსებულ მარეგულირებელ კანონმდებლობას, ან ისეთ კანონმდებლობას, რომელიც კეთილსინდისიერად, გონივრული დასაბუთებით შეიძლება გავრცობილ იქნას.“; და

(xiv) თან უნდა ერთოდეს ნებისმიერი დოკუმენტი ან სხვა სახის მტკიცებულება, მათ შორის იმ **დავების მოგვარების პოლიტიკის** ასლი, რომელიც ვრცელდება სადავო დომენურ სახელზე (სახელებზე), სასაქონლო ნიშნის ან მომსახურების ნიშნის, რომელსაც

ეფუძნება საჩივარი, რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, მტკიცებულების ჩამონათვალი.

(c) საჩივარი შესაძლოა ეხებოდეს რამდენიმე დომენურ სახელს, იმ პირობით რომ ასეთი დომენური სახელები რეგისტრირებულია ერთი და იგივე პირის მიერ.

4. საჩივრის შესახებ შეტყობინების გაგზავნა

(a) **WIPO-ს ცენტრმა** უნდა გაუგზავნოს ვერიფიცირების შესახებ თხოვნა **ადმინისტრატორს**, ვერიფიცირების თხოვნა შეიცავს დომენური სახელის **დაბლოკვის** მოთხოვნას.

(b) **ადმინისტრატორმა WIPO-ს ცენტრისგან** ასეთი მოთხოვნის მიღებიდან ორ (2) სამუშაო დღის ვადაში უნდა გადასცეს **WIPO-ს ცენტრის** ვერიფიცირების თხოვნაში მითითებული ინფორმაცია და დაადასტუროს, რომ დომენური სახელი **დაიბლოკა**. **ადმინისტრატორმა** არ უნდა შეატყობინოს **მოპასუხეს** პროცესის შესახებ მანამ სანამ დომენური სახელი არ **დაიბლოკება**. დომენური სახელი **დაბლოკილი** უნდა იყოს **დავების მოგვარების პოლიტიკის** შესაბამისად **დავის მიმდინარეობის პერიოდის** განმავლობაში. **მოპასუხის** მონაცემების ნებისმიერი განახლება, როგორიცაა მონაცემთა დაფარვის სერვისის მიმწოდებლის მოთხოვნა რომ გამჟღავნებულ იქნას მომხმარებლის ინფორმაცია, უნდა განხორციელდეს ორი (2) სამუშაო დღიანი პერიოდი დასრულებამდე ან მანამ, სანამ **ადმინისტრატორი** გადაამოწმებს მოთხოვნილ ინფორმაციად და დაუდასტურებს **WIPO-ს ცენტრს** რომ დომენური სახელი **დაბლოკილია**, რომელიც მოვლებაც უფრო ადრე დადგება. ორი (2) სამუშაო დღის შემდგომ ნებისმიერი ცვლილება (ცვლილებები) **მოპასუხის** მონაცემებში შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნას პანელის გადაწყვეტილებაში.

(c) **WIPO-ს ცენტრმა** უნდა განიხილოს საჩივარი **დავების მოგვარების პოლიტიკასთან** და **წესებთან** ადმინისტარციული შესაბამისობის დასადგენად და თუ საჩივარი პასუხობს შესაბამისობის მოთხოვნებს უნდა გადაუგზავნოს ელექტრონული ფორმით საჩივარი და ყველა თანდართული მასალა **მოპასუხეს**, **რეგისტრატორს** (საჭიროების შემთხვევაში) და **ადმინისტრატორს** და უნდა გაუგზავნოს **მოპასუხეს წერილობითი შეტყობინება** საჩივრის შესახებ (ახსნა განმარტებით ფურცელთან ერთად, როგორც ეს აღწერილია **WIPO-ს ცენტრის დამატებით წესებში**) როგორც ეს მოცემულია 2(a) პარაგრაფში **მოსარჩელის** მხრიდან საფასურის გადახდის დადასტურების მიღებიდან სამი (3) კალენდარული დღის განმავლობაში მე-19 პარაგრაფის შესაბამისად.

(d) თუ **WIPO-ს ცენტრი** ჩათვლის, რომ საჩივარს აქვს ადმინისტრაციული ხარვეზი, მან დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს **მოსარჩელეს** და **მოპასუხეს** გამოვლენილი ხარვეზების შესახებ. მოსარჩელეს აქვს ხუთი (5) კალენდარული დღის ვადა, რომლის განმავლობაშიც უნდა აღმოფხვრას

ასეთი ხარვეზები, ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ საჩივარი ჩაითვლება გამოხმობილად მოსარჩელის მიერ სხვა საჩივრის წარდგენის უფლების შეუზღუდავად.

(e) იმ შემთხვევაში, თუ **WIPO-ს ცენტრი** უარს იტყვის საჩივრის წარმოებაში მიღებაზე ადმინისტრაციული ხარვეზის გამო, ან **მოსარჩელე** საკუთარი ნებით გამოიხმობს საჩივარს, **WIPO-ს ცენტრმა** უნდა შეატყობინოს **ადმინისტრატორს** და **რეგისტრატორს** (საჭიროების შემთხვევაში) რომ წარმოება შეწყდა და **ადმინისტრატორმა WIPO-ს ცენტრისგან** წარმოების შეწყვეტის ან საჩივრის გამოხმობის შესახებ შეტყობინების მიღებიდან ერთი (1) სამუშაო დღის ვადაში უნდა გააუქმოს **დაბლოკვა**.

(f) ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თარიღი არის რა თარიღზეც **WIPO-ს ცენტრი** შეასრულებს მის უფლებამოსილებას და 2(a) პარაგრაფის შესაბამისად გადაუგზავნის საჩივარს **მოპასუხეს**.

(g) **WIPO-ს ცენტრმა** დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს **მოსარჩელეს**, **მოპასუხეს**, **ადმინისტრატორს** და **რეგისტრატორს** (საჭიროების შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თარიღის შესახებ. **WIPO-ს ცენტრმა** უნდა აცნობოს **მოპასუხეს**, რომ **დავების მოგვარების პოლიტიკის** მიხედვით **დავის მიმდინარეობის პერიოდის** განმავლობაში მის საკონტაქტო ინფორმაციაში ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში უნდა აცნობოს **WIPO-ს ცენტრს წესების** 5(c)(ii) და 5(c)(iii) პარაგრაფების შესაბამისად.

5. შესაგებელი

(a) ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თარიღიდან ოცი (20) დღის განმავლობაში **მოპასუხემ** უნდა წარუდგინოს WIPO-ს ცენტრს შესაგებელი.

(b) **მოპასუხე** უფლებამოსილია გარკვევით მოითხოვოს დამატებითი ოთხი (4) კალენდარული დღე საჩივარზე შესაგებელის წარსადგენად, **WIPO-ს ცენტრმა** ავტომატურად უნა გაუხანგრძლივოს ვადა და შეატყობინოს **მხარეებს** ამის შესახებ. ვადის ასეთი გაგრძელება არ გამორიცხავს ვადის დამატებით გაგრძელების მოთხოვნის უფლებას, **წესების** 5(d) პარაგრაფის შესაბამისად.

(c) შესაგებელი თანდართულ მასალებთან ერთად წარდგენილ უნდა იქნას ელექტრონულად და უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

(i) პირდაპირ უნდა პასუხობდეს საჩივარში მოცემულ განცხადებებსა და ბრალდებებს და უნდა შეიცავდეს მოპასუხის (დომენური სახელის მფლობელის) სადავო დომენური სახელის რეგისტრაციის შენარჩუნების და გამოყენების ყველა და ნებისმიერ საფუძველს (შესაგებელის ეს ნაწილი უნდა პასუხობდეს **დამატებით წესებში** მოცემულ სიტყვების ან გვერდების ნებისმიერი შეზღუდვის წესს);

(ii) უნდა იყოს მოცემული **მოპასუხის** (დომენური სახელის მფლობელის) ან მოპასუხის სახელით ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის

უფლებამოსილების მქონე ნებისმიერი პირის, საფოსტო მისამართი და ელექტრონული ფოსტის მისამართ, ტელეფონის და ფაქსის ნომერი;

(iii) უნდა იყოს მითითებული ადმინისტრაციული წარმოების დროს **მოპასუხისთვის** კომუნიკაციის გაგზავნის სასურველი მეთოდი (მათ შორის საკონტაქტო პირის, შუამავლის და მისამართის შესახებ ინფორმაცია თითოეულ შემთხვევაში (A) მხოლოდ ელექტრონული მასალისთვის და (B) ბეჭდური მასალისთვის (ასეთი საჭიროების შემთხვევაში);

(iv) იმ შემთხვევაში თუ **მოსარჩელემ** საჩივარში აირჩია ერთი არბიტრისგან შემდგარი პანელი (იხილეთ პარაგრაფი 3(b)(iv)), **მოპასუხემ** შესაგებელში უნდა მიუთითოს სურს თუ არა რომ ერთის ნაცვლად დავა განიხილოს სამი არბიტრისგან შემდგარმა პანელმა.

(v) იმ შემთხვევაში თუ **მოსარჩელე** ან **მოპასუხე** აირჩევს სამი არბიტრისგან შემდგარ პანელს უნდა მიუთითოს ისეთი სამი კანდიდატის სახელები და საკონტაქტო ინფორმაცია, რომლიდანაც ერთ-ერთი იქნება არბიტრი (ასეთი კანდიდატები შეიძლება აირჩნენ WIPO-**ს ცენტრის** არბიტრების სიიდან);

(vi) უნდა იყოს მითითებული მიმდინარეობს ან შეწყვეტილია თუ არა სადავო რომელიმე დომენურ სახელთან (სახელებთან) დაკავშირებით სხვა წარმოება;

(vii) მითითებას რომ შესაგებელის ასლი და თანდართული მასალები გადაეცა ან გაგზავნილია **მოსარჩელესთან** 2(b) პარაგრაფის შესაბამისად; და

(viii) შესაგებელი უნდა დასრულდეს შემდეგი წინადადებით და **მოპასუხის** ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით (ელექტრონული ფორმით):

> „**მოპასუხე** ადასტურებს, რომ შესაგებელში მოცემული ინფორმაცია, რამდენადაც მოპასუხისთვის ცნობილია, არის სრული და სწორი, შესაგებელი არ არის წარდგენილი არასათანადო მიზეზით როგორიცაა უფლების შელახვა, და შესაგებელში მოცემული მტკიცებები შეესაბამება ამ **წესებს** და არსებულ მარეგულირებელ კანონმდებლობას, ან ისეთ კანონმდებლობას, რომელიც კეთილსინდისიერად, გონივრული დასაბუთებით შეიძლება გავრცობილ იქნას.“; და

(ix) თან უნდა ერთოდეს ნებისმიერი დოკუმენტი ან სხვა სახის მტკიცებულება, რომელსაც ეყრდნობა მოპასუხე, მტკიცებულების ჩამონათვალთან ერთად.

(d) იმ შემთხვევაში, თუ **მოსარჩელე** აირჩევს რომ დავა განიხილოს ერთი არბიტრისგან შემდგარმა პანელმა და **მოპასუხე** აირჩევს სამი არბიტრისგან შემდგარ პანელს, **მოპასუხე** ვალდებულია გადაიხადოს სამი არბიტრისგან შემდგარი პანელის საფასურის ნახევარი, როგორც ეს მოცემულია **დამატებით წესებში**. **მოპასუხემ** ასეთი საფასური უნდა გადაიხადოს WIPO-**ს ცენტრში** შესაგებელის წარდგენისას, იმ

შემთხვევაში თუ მოთხოვნილი საფასური არ იქნება გადახდილი დავას განიხილავს ერთი არბიტრისგან შემდგარი პანელი.

(e) **მოპასუხის** მოთხოვნის შემთხვევაში **WIPO-ს ცენტრმა** შესაძლოა გამონაკლის შემთხვევაში გაახანგრძლივოს შესაგებელის წარდგენის ვადა. ვადა ასევე შესაძლოა გაგრძელდეს მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე იმ პირობით, რომ ასეთი შეთანხმება დადასტურებულია **WIPO-ს ცენტრის** მიერ.

(f) იმ შემთხვევაში თუ **მოპასუხე** არ წარადგენს შესაგებელს, გამონაკლისი გარემოებების არარსებობის შემთხვევაში, პანელი ვალდებულია გამოიტანოს გადაწყვეტილება საჩივარზე დაყრდნობით.

6. პანელის არჩევა და გადაწყვეტილების გამოტანის ვადა

(a) **WIPO-ს ცენტრი** ვალდებულია გამოაქვეყნოს და საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადოს არბიტრების სია და მათი კვალიფიკაცია.

(b) იმ შემთხვევაში თუ არც **მოსარჩელე** და არც **მოპასუხე** არ აირჩევს სამი არბიტრისგან შემდგარ **პანელს** (პარაგრაფები 3(b)(iv) და 5(b)(iv)) **WIPO-ს ცენტრმა** შესაგებელის მიღებიდან, ან შესაგებელის წარდგენის ვადის გასვლიდან ხუთი (5) სამუშაო დღის განმავლობაში, უნდა აირჩიოს ერთი **არბიტრი** არბიტრების სიიდან. ერთი **არბიტრისგან** შემდგარი **პანელის** ხარჯები სრულად უნდა გაიღოს **მოსარჩელემ**.

(c) იმ შემთხვევაში თუ **მოსარჩელე** ან **მოპასუხე** აირჩევს, რომ დავა განიხილოს სამი **არბიტრისგან** შემდგარმა **პანელმა**, **WIPO-ს ცენტრმა** უნდა აირჩიოს სამი **არბიტრი** 6(e) პარაგრაფში მოცემული პროცედურის შესაბამისად. სამი არბიტრისგან შემდგარი **პანელის** საფასურის გადახდის ვალდებულება სრულად ეკისრება **მოსარჩელეს**, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სამი არბიტრისგან შემდგარი **პანელი** აირჩია თავად **მოპასუხემ**, ასეთ შემთხვევაში ასანაზღაურებელი თანხა თანაბრად უნდა განაწილდეს მხარეებს შორის.

(d) გარდა იმ შემთხვევისა როდესაც სამი წევრისგან შემდგარი **პანელი** უკვე არჩეულია, **მოსარჩელემ** **WIPO-ს ცენტრს** იმ შესაგებელის წარდგენიდან, რომელი შესაგებელითაც მოპასუხე ითხოვს სამი არბიტრისგან შემდგარ **პანელს**, ხუთი (5) კალენდარული დღის ვადაში უნდა წარუდგინოს კანდიდატი სამი პირის სახელი და საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაგან ერთ-ერთი არჩეულ უნდა იქნას **არბიტრად**. ასეთი კანდიდატები არჩეულ უნდა იქნას **WIPO-ს ცენტრის** არბიტრთა სიიდან.

(e) იმ შემთხვევაში თუ **მოსარჩელე** ან **მოპასუხე** აირჩევს სამი არბიტრისგან შემდგარ **პანელს**, **WIPO-ს ცენტრი** უნდა შეეცადოს, რომ აირჩიოს **მოსარჩელის** და **მოპასუხის** მიერ წარდგენილი კანდიდატთა თითოეული სიიდან ერთი არბიტრი. იმ შემთხვევაში თუ ხუთი (5) კალენდარული დღის ვადაში **WIPO-ს ცენტრი** ვერ შეძლებს აირჩიოს **არბიტრ**ი დადგენილი პირობების შესაბამისად რომელიმე **მხარის** მიერ წარდგენილი კანდიდატების სიიდან, **WIPO-ს ცენტრი** ვალდებულია აირჩიოს კანდიდატი თავისი არბიტრების სიიდან. მესამე **არბიტრი** უნდა აირჩიოს **WIPO-ს ცენტრმა**

იმ ხუთი კანდიდატის სიიდან, რომელსაც WIPO-ს ცენტრი წარუდგენს მხარეებს, WIPO-ს ცენტრის მიერ ასეთი ხუთი კანდიდატიდან არჩევანის გაკეთება უნდა განხორციელდეს ორივე მხარის ინტერესების გონივრული დაბალანსების შედეგად, როგორც ამას მხარეები განუმარტავენ **WIPO-ს ცენტრს**, **WIPO-ს ცენტრის** მიერ ხუთ კანდიდატიანი სიის **მხარეთათვის** წარდგენიდან ხუთი (5) კალენდარული დღის ვადაში.

(f) როგორც კი არჩეულ იქნება **პანელი**, **WIPO-ს ცენტრი** ვალდებულია შეატყობინოს მხარეებს არჩეული არბიტრების შესახებ და ასევე იმ თარიღის შესახებ, როდესაც, გამონაკლისი გარემოებების არარსებობის შემთხვევაში, **პანელმა** უნდა გამოიტანოს გადაწყვეტილება საჩივარზე და წარუდგინოს **WIPO-ს ცენტრს.**

7. მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა

არბიტრი უნდა იყოს მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი, მანამ სანამ დაადასტურებს არბიტრად არჩევის გარემოებას უნდა გაუმჟღავნოს **WIPO-ს ცენტრს** ინფორმაცია ნებისმიერი იმ გარემოების შესახებ, რომელიც აჩენს დასაბუთებულ ეჭვს **არბიტრის** მიუკერძოებლობასთან ან დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციული განხილვის ნებისმიერ ეტაპზე წარმოიშობა ახალი გარემოებები, რომლებიც აჩენს დასაბუთებულ ეჭვს **არბიტრის** მიუკერძოებლობასთან ან დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით, **არბიტრი** ვალდებულია დაუყოვნებლივ გაუმჟღავნოს **WIPO-ს ცენტრს** ასეთი გარემოებების შესახებ ინფორმაცია. ასეთ შემთხვევაში, **WIPO-ს ცენტრს** აქვს დისკრეციული უფლებამოსილება რომ აირჩიოს შემცვლელი **არბიტრი**.

8. მხარეებსა და პანელს შორის კომუნიკაცია

მხარეს ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს არ აქვს უფლება ჰქონდეს ცალმხრივი კომუნიკაცია **პანელთან**. ყველა სახის კომუნიკაცია მხარესა და **პანელს** ან **WIPO-ს ცენტრს** შორის უნდა განხორციელდეს საქმის ადმინისტრატორის მეშვეობით, რომელსაც ირჩევს **WIPO-ს ცენტრი**, **WIPO-ს ცენტრის დამატებით წესებში** მოცემული პირობების შესაბამისად.

9. პანელისთვის საქმის მასალების გადაცემა

WIPO-ს ცენტრმა უნდა გადასცეს საქმის მასალები **პანელს** არჩევისთანავე იმ შემთხვევაში თუ **პანელი** შედგება ერთი არბიტრისგან, ან სამი არბიტრისგან შემდგარი პანელის შემთხვევაში ბოლო არბიტრის არჩევისთანავე.

10. პანელის ზოგადი უფლებამოსილება

(a) პანელმა უნდა წარმართოს ადმინისტრაციული წარმოება საკუთარი შეხედულებისამებრ **დავების მოგვარების პოლიტიკის** და ამ **წესების** შესაბამისად.
(b) ყველა შემთხვევაში **პანელმა** უნდა უზრუნველყოს **მხარეთა** მიმართ თანაბარი მოპყრობა და მისცეს თითოეულ **მხარეს** შესაძლებლობა წარმოადგინოს საქმე.
(c) **პანელმა** უნდა უზრუნველყოს, რომ ადმინისტრაციული პროცესი წარიმართოს სათანადო გამოკვლევით. **პანელი** უფლებამოსილია **მხარის** მოთხოვნით ან საკუთარი შუამდგომლობით გამონაკლის შემთხვევებში გაზარდოს ამ წესებით ან **პანელის** მიერ დადგენილი ვადები.
(d) **პანელმა** უნდა განსაზღვროს მტკიცებულების დასაშვებობის, რელევანტურობის, არსებითობის და მნიშვნელობის საკითხები.
(e) **პანელმა** უნდა გადაწყვიტოს **მხარის** მოთხოვნის შესაბამისად რამდენიმე დომენურ სახელთან დაკავშრებით მიმდინარე დავის გაერთიანება **დავების მოგვარების პოლიტიკის** და ამ **წესების** შესაბამისად.

11. წარმოების ენა

(a) ადმინისტრაციული წარმოების ენა არის ინგლისური.
(b) **პანელმა** შესაძლოა მოითხოვოს რომ ნებისმიერ წარდგენილ დოკუმენტს, რომელიც არ არის ადმინისტრაციული წარმოების ენაზე სრულად ან ნაწილობრივ თან ახლდეს ადმინისტრაციული წარმოების ენაზე თარგმანი.

12. დამატებითი განცხადებები

საჩივრისა და შესაგებელის გარდა **პანელმა** შესაძლოა მისი დისკრეციული გადაწყვეტილებით მოითხოვოს დამატებითი განცხადებები ან დოკუმენტები ნებისმიერი **მხარისგან**.

13. ზეპირი განხილვა

ზეპირი განხილვა (მათ შორის ტელე-კონფერენცია, ვიდეო-კონფერენცია ან ვებ - კონფერენცია) არ უნდა ჩატარდეს წარმოების დროს, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც **პანელი** საკუთარი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გადაწყვეტს, როგორც გამონაკლისი შემთხვევა, რომ ასეთი ზეპირი განხილვის ჩატარება აუცილებელია საჩივრის განსახილველად.

14. ვალდებულების დარღვევა

(a) თუ **მხარე** გამონაკლისი შემთხვევის არარსებობის შემთხვევაში არ დაიცავს ამ **წესებით** ან **პანელის** მიერ განსაზღვრულ ვადებს **პანელს** შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება საჩივარზე.

(b) თუ **მხარე**, გამონაკლისი შემთხვევების არარსებობის შემთხვევაში არ შეასრულებს პირობებს ან მოთხოვნებს, რომლებიც დადგენილია **წესებით** ან **პანელის** მიერ, **პანელმა** უნდა გამოიტანოს დასკვნა ასეთი გარემოებებიდან როგორც ამას თვითონ ჩათვლის საჭიროდ.

15. პანელის გადაწყვეტილება

(a) **პანელმა** უნდა მიიღოს გადაწყვეტილება საჩივარზე წარდგენილი დოკუმენტების და განცხადებების საფუძველზე **დავების მოგვარების პოლიტიკის**, ამ **წესების** და ნებისმიერი წესების, პრინციპების და კანონმდებლობის შესაბამისად როგორც ამას ჩათვლის საჭიროდ.

(b) გამონაკლისი გარემოებების არარსებობის შემთხვევაში, **პანელმა** გადაწყვეტილება WIPO-ს **ცენტრს** უნდა გადაუგზავნოს მე- 6 პარაგრაფის შესაბამისად მისი არჩევიდან თოთხმეტი (14) დღის ვადაში.

(c) სამი წევრისგან შემდგარი **პანელის** შემთხვევაში გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით.

(d) **პანელის** გადაწყვეტილება უნდა იყოს წერილობითი, უნდა შეიცავდეს გადაწყვეტილების მიღების დასაბუთებას, გადაწყვეტილების მიღების თარიღს და **არბიტრის** (არბიტრების) სახელს (სახელებს).

(e) **პანელის** გადაწყვეტილება და განსახვავებული აზრი უნდა შეესაბამებოდეს **დამატებით წესებში** მოცემულ სახელმძღვანელო წესებს მოცულობასთან დაკავშირებით. უმრავლესობის გადაწყვეტილებას თან უნდა დაერთოს ნებისმიერი განსხვავებული აზრი. იმ შემთხვევაში თუ პანელი მიიჩნევს რომ დავა არ ექვემდებარება **დავების მოგვარების პოლიტიკის** 4(a) პარაგრაფში მოცემულ მიზნობრიობას მან უნდა მიუთითოს ამის შესახებ. საჩივრის წარმოებაში მიღების შემდეგ თუ **პანელი** მიიჩნევს, რომ საჩივარი წარდგენილია არაკეთილსინდისიერად, მაგალითისთვის **საჩივრის წარდგენის უფლების ბოროტად გამოყენებით,** ან წარდგენილია მიზანმიმართულად იმ განზრახვით რომ შეავიწროვოს დომენური სახელის მფლობელი, **პანელმა** უნდა მიუთითოს საკუთარ გადაწყვეტილებაში, რომ საჩივარი წარდგენილია არაკეთილსინდისიერად და წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების უფლების ბოროტად გამოყენებას.

16. გადაწყვეტილების გაგზავნა მხარეებისთვის

(a) WIPO-ს **ცენტრის** მიერ **პანელის** გადაწყვეტილების მიღებიდან სამი (3) სამუშაო დღის ვადაში, WIPO-ს **ცენტრმა** უნდა გაუგზავნოს გადაწყვეტილების სრული ტექსტი თითოეულ **მხარეს**, **ადმინისტრატორს** და **რეგისტრატორს** (საჭიროების შემთხვევაში) **ადმინისტრატორმა** WIPO- ს **ცენტრისგან** გადაწყვეტილების მიღებიდან სამი (3) სამუშაო დღის ვადაში უნდა აცნობოს WIPO-ს **ცენტრს** და თითოეულ **მხარეს** **დავების მოგვარების პოლიტიკის** შესაბამისად გადაწყვეტილების აღსრულების თარიღი.

(b) თუ **პანელი** სხვაგვარად არ გადაწყვეტს (იხილეთ **დავების მოგვარების პოლიტიკის** 4 (j) პარაგრაფი) WIPO-**ს ცენტრმა** უნდა გამოაქვეყნოს გადაწყვეტილება და მისი აღსრულების თარიღი სრულად საჯაროდ ხელმისაწვდომ ვებ-გვერდზე. ნებისმიერ შემთხვევაში, გადაწყვეტილების ის ნაწილი რომელიც ადგენს, რომ საჩივარი შეტანილ იქნა არაკეთილსინდისიერად (იხილეთ **წესების** 15 (e) პარაგრაფი) უნდა გამოქვეყნდეს.

17. მორიგება ან წარმოების შეწყვეტის სხვა საფუძვლები

(a) იმ შემთხვევაში თუ **პანელის** მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე **მხარეები** შეთანხმდებიან დავის მორიგებით დასრულებაზე. პანელმა (ან იმ შემთხვევაში, თუ **პანელი** არ არის არჩეული, WIPO-**ს ცენტრმა**) უნდა შეწყვიტოს ადმინისტრაციული წარმოება. მორიგება უნდა განხორციელდეს შემდეგი 17(a)(i)- 17(a)(vii) პარაგრაფებში მოცემული პროცედურის შესაბამისად:

(i) **მოსარჩელე** ან **მხარეები** WIPO-**ს ცენტრს** წარუდგენენ შეტყობინებას პროცესის შეჩერებასთან დაკავშირებით რადგან მხარეები განიხილავენ მორიგებას.

(ii) WIPO-**ს ცენტრი** ადასტურებს შეჩერების მოთხოვნის მიღებას და ატყობინებს **ადმინისტრატორს** (საჭიროების შემთხვევაში **რეგისტრატორისთვის** ასლის გაგზავნით) შეჩერების მოთხოვნის შესახებ და შეჩერების მოსალოდნელი ხანგრძლივობის შესახებ.

(iii) **მხარეები** აღწევენ მორიგებას და ატყობინებენ WIPO-**ს ცენტრს** შედეგების შესახებ.

(iv) WIPO-**ს ცენტრი** ატყობინებს **ადმინისტრატორს** (საჭიროების შემთხვევაში **რეგისტრატორისთვის** ასლის გაგზავნით) მორიგების შედეგების შესახებ თუ ის შეიცავს **ადმინისტრატორისგან** რაიმე ზომების მიღების საჭიროებას.

(v) WIPO-**ს** ცენტრისგან შეტყობინების მიღებისთანავე 17(a)(iv) პუნქტის შესაბამისად **ადმინისტრატორმა** უნდა მოხსნად **ბლოკი** დომენურ სახელს 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში და შეასრულოს მორიგების შედეგები.

(vi) **მოსარჩელემ** უნდა დაუდასტუროს WIPO-**ს ცენტრს,** რომ მორიგების შესახებ შეთანხმება, რომელიც ეხება დომენურ სახელს (სახელებს) აღსრულებულია.

(vii) WIPO-**ს ცენტრი** შეწყვეტს წარმოებას გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე თუ მორიგების აქტში სხვაგვარად არ არის მოცემული.

(b) თუ **პანელის** გადაწყვეტილების გამოტანამდე ადმინისტრაციული წარმოების გაგრძელება გახდება შეუძლებელი ან არასაჭირო ნებისმიერი მიზეზით, **პანელმა** უნდა შეწყვიტოს ადმინისტრაციული წარმოება, გარდა იმ შემთხვევისა თუ პანელის მიერ განსაზღვრულ ვადაში მხარე წარმოადგენს შეცილებაა დასაბუთებული საფუძვლით.

18. სასამართლო წარმოების გავლენა

(a) იმ შემთხვევაში თუ სადავო დომენურ სახელთან დაკავშირებით ინიცირებულია სასამართლო წარმოება ადმინისტრაციული წარმოების დაწყებამდე ან დაწყებისას **პანელს** აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, რომ გადაწყვიტოს შეაჩეროს ან შეწყვიტოს ადმინისტრაციული წარმოება ან განაგრძოს და გამოიტანოს გადაწყვეტილება.

(b) იმ შემთხვევაში თუ სადავო დომენურ სახელთან დაკავშირებით მხარის მიერ ინიცირებულია სასამართლო წარმოება **დავის მიმდინარეობის პერიოდში**, ასეთმა **მხარემ** დროულად უნდა აცნობოს **პანელს** და WIPO-**ს ცენტრს.** იხილეთ მე-8 პარაგრაფი.

19. საფასური

(a) **მოსარჩელემ** უნდა გადაუხადოს WIPO-**ს ცენტრს** პირველადი განსაზღვრული თანხა **დამატებითი წესების** შესაბამისად, იმ დროში და ოდენობით როგორც ეს განსაზღვრულია. **მოპასუხემ**, რომელიც 5(b)(iv) პარაგრაფის შესაბამისად გადაწყვეტს, რომ დავა განიხილოს სამი არბიტრისგან შემდგარმა **პანელმა** და არა ერთი არბიტრისგან შემდგარმა **პანელმა** როგორც ეს **მოსარჩელემ** აირჩია, უნდა გადაუხადოს WIPO-**ს ცენტრს** სამი არბიტრისგან შემდგარი **პანელისთვის** ფიქსირებული საფასურის ნახევარი. იხილეთ 5(c) პარაგრაფი. ნებისმიერ სხვა შემთხვევაში **მოსარჩელეს** ეკისრება WIPO-**ს ცენტრის** საფასურის ანაზღაურების ხარჯები გარდა 19(d) პარაგრაფში მოცემულისა. **პანელის** არჩევისთანავე WIPO-**ს ცენტრმა** უნდა აუნაზღაუროს შესაბამისი ოდენობა, ასეთის არსებობის შემთხვევაში, თავდაპირველი საფასურიდან **მოსარჩელეს**, როგორც ეს განმარტებულია **დამატებით წესებში.**

(b) WIPO-**ს ცენტრმა** არ უნდა განახორციელოს საჩივართან დაკავშრებით არავითარი ქმედება, მანამ სანამ **მოსარჩელე** არ გადაიხდის თავდაპირველ გადასახადს 19(a) პარაგრაფის შესაბამისად.

(c) თუ WIPO-**ს ცენტრი** არ მიიღებს საფასურს საჩივრის მიღებიდან ათი (10) კალენდარული დღის განმავლობაში საჩივარი ჩაითვლება გამოხმობილად და ადმინისტრაციული წარმოება შეწყვეტილად.

(d) გამონაკლის შემთხვევებში, მაგალითად ზეპირი განხილვის შემთხვევაში WIPO-**ს ცენტრმა** შესაძლოა მოითხოვოს **მხარეებისგან** დამატებითი ხარჯების ანაზღაურება, რომელიც უნდა განისაზღვროს **პანელსა** და მხარეებს შორის შეთანხმებით.

20. პასუხისმგებლობის გამორიცხვა

გარდა განზრახ სამართალდარღვევისა, არც WIPO-**ს ცენტრს** და არც **არბიტრებს** არ ეკისრებათ **მხარეების** წინაშე პასუხისმგებლობა ნებისმიერი ქმედებისთვის ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებით ამ **წესების** შესაბამისად.

21. ცვლილებები

WIPO-ს ცენტრმა დაწყებული ადმინისტრაციული წარმოებისას უნდა გამოიყენოს ის **წესები** რომელიც ძალაში იყო საჩივრის წარდგენის მომენტისთვის. ეს **წესები** არ შეიძლება შეიცვალოს ადმინისტრატორის პირდაპირი წერილობითი თანხმობის არსებობის გარეშე.